ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1595328

ნომერი: AR1262363

თარიღი : 31.10.2014

გაცემის თარიღი : 14.11.2014

გაცნობის თარიღი : 15.11.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შმიდტი , N 22 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ბურძგლა , N 24 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან გომართელი პ/ნ 01024043184
- თბილისი მ.ბურძგლას ქ. N 24

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი AR1262363 ელექტრონული განაცხადი, ბურძგლას ქ. #22,24-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის წინააღმდეგ.

პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2014 წლის 27 ოქტომბრის №1562681 ბრძანებით შეთანხმდა არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა ქ. თბილისში, შმიდტის ქ.№ 22-ში,/ ქ. თნილისში,

ბურძგლას ქ. №24-ში, კერძო საკუთრებაში არსებულ
მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.10.14.025.042), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით რომ აღნიშნული აქტი გაყენებთ პირდაპირ და
უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულ საქალაქო სამსახურში (მის. ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა #7) მათი ოფიციალური წესით
გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების განახლების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის მეშვეობით, ამისათვის tas.ge-ზე უნდა აირჩიოთ ინტერაქტიული რუკა და ძიებაში მიუთითებთ თქვენს დაინტერესებაში მყოფი მიწის ნაკვეთის
საკადასტრო კოდი.